სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა** Diplomacy and International Politics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი** Master of Diplomacy and International Politics
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**120 კრედიტი (ECTS)** მათ შორის: • **სავალდებულო სასწავლო კურსები** - 35 ECTS; • **სამაგისტრო ნაშრომი** - 30 ECTS; • **არჩევითი სასწავლო კურსები** - 45 ECTS; • **თავისუფალი კრედიტები** - 10 ECT
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი	**ფიქრია ასანიშვილი,** საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:** ➢ ბაკალავრის ხარისხი ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა შემდეგ სოციალურ მეცნიერებებში: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური გეოგრაფია, საერთაშორისო ეკონომიკა, სამართალი, უცხო ენები; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; ➢ სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის; ➢ გამოცდა საერთაშორისო ურთიერთობებში სპეციალური პროგრამით (50%); ➢ გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) ან დადასტურება შესაბამისი სერტიფიკატით (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები) (30%);

	➢ გასაუბრება სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან- 20%). კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გამონაკლისი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება დიპლომატიასა და საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელთაც ექნებათ როგორც მყარი თეორიული ცოდნა დარგისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ისე ამ ცოდნის გააზრების და პრაქტიკაში ვერბალური და წერილობითი გამოყენების უნარები.
სწავლის შედეგები *(ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)*	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** 1. კრიტიკულად განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიულ მიმართულებებსა და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო პრობლემებს; 2. არგუმენტირებულად მსჯელობს დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის, ისევე როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის თავისებურებებზე, მიზნებსა და მათი განხორციელების საშუალებებზე; 3. სისტემურად აღწერს დიპლომატიის ისტორიის მთავარ საკითხებსა და დიპლომატიური პრაქტიკის საფუძვლებს; 4. ერკვევა და სწორად ორიენტირებს საერთაშორისო პოლიტიკის რთულ სიტუაციებში; 5. ღრმად აანალიზებს საერთაშორისო მოვლენებს და აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს; 6. გასცემს კომპეტენტურ რჩევებს და ახდენს კონსულტირებას საგარეო პოლიტიკაში; 7. მონაწილეობას იღებს დიპლომატიურ მოლაპარაკებაში, შედის პოლემიკაში, ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს ქართულად და ინგლისურად, ახდენს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას, კვალიფიციურ

	ოპონირებას და გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები; 8. საკუთარი პოზიციის დაცვით, ეთიკისა და კამათის კულტურის ნორმების შესაბამისად, ახდენს ვერბალურ და წერით კომუნიკაციას შესაბამის სფეროში; 9. დამოუკიდებლად გეგმავს სწავლის პროცესს და ათვისებულ ცოდნას გადასცემს სხვას; 10. აცნობიერებს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთმიმართებას, ხელს უწყობს მათ დამკვიდრებასა და გავრცელებას შემდგომი საქმიანობის პროცესში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	**პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი:** ლექციები, პრაქტიკული სამუშაო ჯგუფები, პრეზენტაციები, ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, პრაქტიკული მეთოდები და სხვა. **სალექციო მეცადინეობის** დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, შესაბამისად, სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება. **პრაქტიკული მეცადინეობისა და სამუშაო ჯგუფის** დანიშნულებაა სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. **თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია** განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ პრაქტიკები გაიარონ საგარეო საქმეთა სამინისტროში, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო

	მინისტრის აპარატში, საქართველოს პარლამენტის აპარატში და სხვა სახელმწიფო და კვლევით ორგანიზაციებში. ელექტორნული სწავლების მეთოდები.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: • **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; • **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: • **(FX) ვერ ჩააბარა**–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები სშემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება

	დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება[1]** **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ

[1]მეტი ინფორმაციისთვის იხ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი https://bit.ly/3kDfjht

	დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (**FX**) **(ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (**F**) **(ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[2].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**

[2] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმდებიან საჯარო სამსახურში, პირველ რიგში საგარეო საქმეთა სამინისტროში, დიპლომატიურ სამსახურში, საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, სხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო დაწესებულებების საგარეო კავშირების დეპარტამენტებში, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და კერძო სექტორში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა ხორციელდება უმაღლესი კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა

	და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური მიღწევები და სამეცნიერო საქმიანობა საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის და ვებ-გვერდზე https://www.tsu.ge/ . დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მას მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლებით, ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus დასხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.

	პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ I, II, III, IV და VI კორპუსებში, რომლებიც განთავსებულია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე №1, 3, 11ა, 6 და 14 ნომრებში.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მიერ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია	მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, აკადემიური პერსონალის რაოდენობის და ბაზარზე შესაბამისი სპეციალობის კურსდამთავრებულთა საჭიროების

	გათვალისწინებით, პროგრამას შეუძლია ყოველ წლიურად 15-დან 25-მდე სტუდენტი მიიღოს და მოემსახუროს სრულფასოვნად. **სამაგისტრო ნაშრომების შესაძლო საკვლევი თემატიკა** დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის სტუდენტებმა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელების დახმარებით, შესაძლოა იკვლიონ შემდეგი თემატიკა - საერთაშორისო პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები, საერთაშორისო უსაფრთხოება და კონფლიქტები, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა, ქვეყნების საგარეო პოლიტიკა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობების

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 **ECTS**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: ფიქრია ასანიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021 (დანართი 65)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №45162; 29/12/2021 – 31/12/2028
https://eqe.ge/ka/deqars/456/show
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი: 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[3] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; № 61/2022 - 26/07/2022; №95/2022 – 07/10/2022; №4/2023 - 23/01/2023; №24/2023 - 20/03/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024; №113/2024 – 09/09/2024.

[3] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი 120კრედიტი (ECTS)													
საბაზისო სავალდებული კურსები - 65 კრედიტი (ECTS), მათ შორის: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი (ECTS); სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)													
N	**კოდი**	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ECTS**	**სტუდენტის საათობრივი დატვირთვა**						**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი / ლექტორები**
				საკონტაქტო			**გამოცდის დრო**	**დამოუკიდებელი**	**სულ**		**შემოდგომის**	**გაზაფხულის**	
				ლექცია	**სემინარი/სამუშაო ჯგუფი**	**პრაქტიკუმი/ ლაბორატო-**							
1		საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ეკა აკობია ირაკლი სირბილაძე გვანცა აბდალაძე
2		საერთაშორისო მოლაპარაკებები	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	გიგი გიგიაძე კარლო ცქიტიშვილი
3		თვისებრივი კვლევის მეთოდები	5	30	15	0	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓		რატი შუბლაძე

4		საერთაშორისო სამართლის შერჩეული საკითხები	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ირინე ქურდაძე
5		დიპლომატია: თეორია და პრაქტიკა	5	15	15	0	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓	კოტე გაბაშვილი
6		გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი
7		კვლევის დიზაინი	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ეკა აკობია დავით მაცაბერიძე
8		სამაგისტრო ნაშრომი	30	60				690	750	მინიმუმ 80 კრედიტი [4] (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი)	✓	✓	საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი
პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები - 45 კრედიტი (ECTS)													
1		საგარეო პოლიტიკის ანალიზი	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	დავით მაცაბერიძე გიორგი მჭედლიშვილი
2		ქართული დიპლომატიის ისტორია	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	ფიქრია ასანიშვილი გვანცა აბდალაძე
3		შედარებითი საგარეო პოლიტიკა	5	30	0	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	გიორგი ბადრიძე
4		ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		თათია დოლიძე გიორგი ჩაფიძე
5		პატარა ქვეყნები საერთაშორისო პოლიტიკაში	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	თორნიკე თურმანიძე

[4] **გათვალიწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა**
(სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომთან ერთად აიღოს ორი 5 კრედიტიანი ან ერთი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი)

6		ნაციონალიზმი: თეორია, ისტორია, პრაქტიკა	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ზურაბ დავითაშვილი
7		დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		ფიქრია ასანიშვილი
8		სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		ფიქრია ასანიშვილი
9		ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში	5	15	15	0	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓		სოფიკო ალავერდაშვილი
10		საბჭოთა კავშირის ისტორია (ინგლისურენოვანი)	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	ტიმოთი ბლოუველტი
11		კავკასიის კონფლიქტები	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე
12		ეკონომიკური დიპლომატია	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		ლევან ნატროშვილი თეა კუნჭულია
13		სამშვიდობო პროცესები	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	ნიკოლოზ სამხარაძე
14		სამშვიდობო ოპერაციები	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ეკა აკობია
15		ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემები	5	30	0	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		გიორგი ბადრიძე
16		საერთაშორისო მედიაცია	5	15	15	0	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓	ტარიელ სიხარულიძე
17		საგარეო ვაჭრობა და ვაჭრობის პოლიტიკა	5	30	0	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო გამხარაშვილი
18		ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ნიკო ქელბაქიანი
19		ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე ევროკავშირთან	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ალექსანდრე დევიძე

20		ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓	შორენა გიგაური
21		პოსტ საბჭოთა ქვყნების დიპლომატია და საგარეო პოლიტიკა	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ფიქრია ასანიშვილი
22		ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ფიქრია ასანიშვილი
23		საერთაშორისო უსაფრთხოება თეორია და პრაქტიკა	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ფიქრია ასანიშვილი
თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (ECTS)[5]													

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

[5] პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს რეკომენდაცია ეძლევათ პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე 10 თავისუფალი კრედიტი შეარჩიონ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან